

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“

ანგარიში შეთანხმებულ პროცედურებზე
პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით
2025 წლის 1 სექტემბრიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდზე

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ მონაცემებზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ მოცემული პროცედურები - შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის (ს/კ 215137830) პერსპექტიულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 სექტემბრიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარების მიზანი და ანგარიშის გამოყენებისა და გავრცელების შეზღუდვა

ჩვენი ანგარიში მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, რომ დავებმართო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმის დადგენაში, სწორად არის თუ არა წარდგენილი პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს 2025 წლის 1 სექტემბრიდან 2026 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს და ამიტომ შესაძლოა არ გამოდგეს სხვა მიზნებისთვის. ეს ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-სთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის და არ უნდა გამოიყენონ სხვა მხარეებმა და არც უნდა გავრცელდეს სხვა მხარეებზე.

დამკვეთი მხარის პასუხისმგებლობა

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს რომ შეთანხმებული პროცედურები ამ გარიგების მიზნის შესაფერისია.

შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმ საბუღალტრო ბაზის სისწორეზე და სისრულეზე, ასევე იმ მოწოდებული დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) ნამდვილობაზე, რომლის მიმართაც ჩავატარეთ შეთანხმებული პროცედურები.

პრაქტიკოსის პასუხისმგებლობა

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4400-ის (გადასინჯული) - „გარიგებები შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე“ შესაბამისად. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება გულისხმობს, რომ ჩვენ ვატარებთ შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულ პროცედურებს და ანგარიშში წარმოვადგენთ ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტების, ანუ ჩატარებული შეთანხმებული პროცედურების ფაქტობრივი შედეგების შესახებ. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე ჩვენი გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას და არც არანაირ მარწმუნებელ დასკვნას ჩამოვყალიბებთ.

თუ ჩვენ დამატებით სხვა პროცედურებსაც ჩავატარებდით, შესაძლოა ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა სხვა საკითხებიც, რომელთა შესახებაც ანგარიშში წარმოვადგენდით ინფორმაციას.

პროფესიული ეთიკა და ხარისხის კონტროლი

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) ეთიკური მოთხოვნები და ბესს-ის კოდექსის 4^ა ნაწილში განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ზკსს) 1-ს– „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

პროცედურები და აღმოჩენილი ფაქტები

ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი პროცედურები რომელიც შეთანხმებული იყო დამკვეთთან 2025 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად.

	პროცედურები	აღმოჩენილი ფაქტები
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სსფ) მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის მიღება;	1-ელ პუნქტთან მიმართებაში ჩვენ მივიღეთ და განვიხილეთ ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია, რომელიც მომზადდა სფფ-ის მიერ დადგენილი სტანდარტით;
2	პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის არითმეტიკული სისწორის შემოწმება;	მე-2 პუნქტთან მიმართებაში ჩვენ შევამოწმეთ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის არითმეტიკული სიზუსტე და უზუსტობები არ შეგვიმოჩნევია;
3	იმის შემოწმება, არის თუ არა მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მამიებლის აღმასრულებელი ორგანოს მიერ (გენერალური დირექტორის ხელმოწერა);	მე-3 პუნქტთან მიმართებაში შევამოწმეთ, არის თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ოფიციალურად დამტკიცებული ლიცენზიის მამიებლის დირექტორის მიერ და ვნახეთ, რომ პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ხელმოწერილია შპს „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი 1913“-ის გენერალური დირექტორის მიერ;
4	ხელმძღვანელობის გამოკითხვა იმის თაობაზე, მომზადებული იყო თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღწერილი დაშვებების გათვალისწინებით.	მე-4 პუნქტთან მიმართებაში გამოვკითხეთ კლუბის ხელმძღვანელობა, იყო თუ არა პერსპექტიული ფინანსური ინფორმაცია მომზადებული ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მომზადებული აღწერილი დაშვებების გათვალისწინებით.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

2 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო